ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"
საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ 02-02/04. 26 02 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/04.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის"; ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; ამავე უნივერსიტეტის „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI[1] თავის; ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (1/31, 10.01.2014), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (1/60, 16.01,2014), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/20, 09.01.2014) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისათვის 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) შესაბამისად:

   1.1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)

      1.1.1. საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორია" (საბაკალავრო პროგრამა, II სემესტრი) - 1 ადგილი;

   1.2. ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)

      1.2.1. საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტი" (საბაკალავრო პროგრამა, II სემესტრი) - 1 ადგილი;

1.2.2. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება" (საბაკალავრო პროგრამა, IV სემესტრი) - 1 ადგილი;

1.3. **სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

1.3.1. ფსიქოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 4 ადგილი (VI სემესტრი);

2. 2013 – 2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

2.1. მსურველთა განცხადებების (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლითურთ) მიღება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხების მართვის სამსახურში - 2014 წლის 27 იანვარი - 8 თებერვალი;

2.2. კრედიტების აღიარება მიმღები სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ - 10 - 15 თებერვალი;

2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისათვის - 2014 წლის 17 თებერვალი;

2.4. სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 2014 წლის 18 თებერვალი;

2.5. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2014 წლის 21 თებერვალი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანების ასლი შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე